რედაქტორისგან

ძვირფასო მკითხველებო, ვფიქრობ, გემახსოვრებათ ჟურნალ „მასწავლებლისა“ და ინტერნეტგაზეთ „mastsavlebeli.ge“-ს ბაზაზე გამოცემული „მასწავლებლის წიგნი“. ვიმედოვნებ, მისი წაკითხვის შემდეგ თქვენს მრავალ კითხვას გაეცა პასუხი.

ვაგრძელებთ ამ სერიით წიგნების გამოცემას. ამჯერად ორ კრებულს გთავაზობთ. მათ თითო ეგზემპლარს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისგან საჩუქრად მიიღებს საქართველოს ყველა სკოლა და რესურსცენტრი, ხოლო შეძენა მსურველებს „მასწავლებლის სახლსა“ და წიგნის მაღაზიებში შეეძლებათ.

პირველი წიგნი, თომას გორდონის „როგორ გავხდე კარგი მშობელი“, რომელიც ნინო ჭიაბრიშვილმა თარგმნა, ეხსომებათ ჩვენი გაზეთის მკითხველებს – ამ წიგნიდან რამდენიმე სტატია ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა.

გვჯერა, თომას გორდონის ეს ძალიან საინტერესო და სასარგებლო ნაშრომი მშობლებისა და მასწავლებლების სამაგიდო წიგნად იქცევა და მრავალი პრობლემის მოგვარების გზებს გაპოვნინებთ, რადგან მასში ამოიკითხავთ რჩევებს იმის შესახებ, როგორ ვუსმინოთ შვილებს ისე, რომ მათ ჩვენთან საუბარი სურდეთ, როგორ ველაპარაკოთ ისე, რომ მოგვისმინონ, როგორ მოვაგვაროთ კონფლიქტები უდანაკარგოდ, როგორ ავიცილოთ თავიდან უთანხმოება საკუთარი თავის შეცვლით...

მეორე კრებული განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებისთვისაა განკუთვნილი. წინა კრებულის მსგავსად, მასში ოთხი ავტორის ის პუბლიკაციები შევიტანეთ, რომლებიც ქართულ ენაზეა შექმნილი, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა მეთოდი თუ სიტუაცია ზედმიწევნით არის მორგებული ქართულ რეალობას და არ წარმოადგენს მხოლოდ თეორიულ მსჯელობასა თუ ანალიზს.

ამ წიგნიდან შეიტყობთ, როგორ განუვითაროთ კრიტიკული აზროვნება ბავშვებს განათლების დაწყებით საფეხურზე, როგორი უნდა იყოს სასწავლო გარემო, როგორ დაეხმაროთ დაწყებითი კლასების მოსწავლეებს კომუნიკაციის უნარის განვითარებაში, როგორ შეამციროთ აგრესია ბავშვებში, გაეცნობით კლასის მართვის სტრატეგიებს, დაწყებით კლასებში წერითი მეტყველების განვითარების ხერხებს, სკოლისთვის ბავშვის ფიზიკური მზაობის კრიტერიუმებს... გვჯერა, კრებული მნიშვნელოვან დახმარებას გაგიწევთ სასკოლო პრაქტიკის გაუმჯობესებაში, უკეთესი სასწავლო გარემოს შექმნასა და პროფესიულ განვითარებაში, რაც საბოლოოდ მოსწავლეთა აკადემიურ შედეგებზე აისახება.

ეს ორი საინტერესო წიგნი საახალწლო საჩუქრებად ჩაგვითვალეთ, რომლებიც თქვენამდე მოიტანს კეთილ სურვილებს ყველაზე მნიშვნელოვან საქმეში, რომელსაც ემსახურებით.

ნატო ინგოროყვა
მთავარი რედაქტორი

მასწავლებელი

N6(37), 2014

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149

UDC 371.1 / ბ-374

მთავარი რედაქტორი: ნატო ინგოროყვა | **რედკოლეგია:** გიორგი მაჩაბელი, ირინა აბულაძე, ნათია ნაცვლიშვილი, ეკა ჯელაძე | **სტილისტი:** ირმა ტაველიძე | **დიზაინი:** ბესიკ დანელია | **ფოტო:** გელა ბედიანაშვილი | **მხატვარი:** მამუკა ტყეშელაშვილი | **კორექტორი:** ქეთევან ნიკოლეიშვილი.

ნომერზე მუშაობდნენ: ვიოლეტა კვირიკაშვილი, მარინე ჯაფარიძე, ნინო კაპანაძე, ნინო ლაბარტყავა, მაია ჯალიაშვილი, ირინე სამსონია, ნინო რევიშვილი, მანანა ბოჭორიშვილი, მაია ფირჩხაძე, ეკატერინე ყიფიანი, თეო ჭყოიძე, თეო ნეფარიძე, მაია ინასარიძე.

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე. ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

საკონტაქტო ინფორმაცია: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. მისამართი: თბილისი, გმირ კურსანტთა ქ. 1, ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

www.tpdc.ge

35

მოსაზრება

მაია ჯალიაშვილი

4 **კლასის მართვა**

მასწავლებელიცა და მოსწავლეც, როგორც საზოგადოების წევრები, ირეკლავენ ამ საზოგადოებაში არსებულ ქცევის ნორმებს. პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობის შესახებ უამრავი სოციოლოგიური გამოკვლევა არსებობს. ამჯერად კლასი განვიხილოთ, როგორც გარკვეული სოციალური ჯგუფი, რომლის წევრებს შორის ჩამოყალიბებული ქცევის ნორმებიც აისახება საგაკვეთილო პროცესზე.

ნინო ლაბარტყავა

8 **განმავითარებელი შეფასების საშუალებები**

განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივირებას, აწვდის მოსწავლეებს ინფორმაციას, თუ როგორ არის შესაძლებელი სწავლის შედეგის გაუმჯობესება, ეხმარება მათ ადეკვატური თვითშეფასების, სხვათა შეფასების უნარის ფორმირებასა და წარმატების მიღწევაში.

ირინა სამსონია

16 **ბავშვის განვითარების თეორიები და მათი ზეგავლენა სასკოლო განათლებაზე**

XX საუკუნის დასაწყისიდან დღემდე შეიქმნა და სკოლებში დაინერგა არაერთი თეორია ბავშვის განვითარების შესახებ. ეს პროცესი დღესაც გრძელდება. თითოეულმა მათგანმა საგრძნობი ზეგავლენა მოახდინა სასკოლო საგანმანათლებლო სისტემებზე, შეცვალა სწავლა-სწავლების შესახებ ტრადიციული შეხედულებები და საფუძველი ჩაუყარა არაერთ ახალ მეთოდიკურ მიდგომას.

თეო ნეფარიძე

35 **მწვრთნელ-კონსულტანტის როლი მასწავლებლის პროფესიულ განვითარებაში**

მწვრთნელ-კონსულტანტის სკოლის ბაზაზე დაქირავების პრაქტიკა შედარებით ახალია, სიღრმისეული კვლევა ამ სისტემის ეფექტურობის შესახებ ჯერ არ არსებობს. თუმცა მცირე მასშტაბით განხორციელებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ მწვრთნელ-კონსულტანტის დაქირავება სკოლის ბაზაზე, სადაც მას 20-30 ბენეფიციარი ჰყავს, სწავლების მეთოდებისა და ტექნიკის ეფექტურად გამოყენების ბევრად დიდ პოტენციალს ქმნის.

ექსპერტი

მანანა ბოჭორიშვილი

12 **სემინარული მუშაობის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები**

როგორ ახერხებს მასწავლებელი, დაძლიოს საკლასო ოთახში მუშაობის სირთულე? ითვლება, რომ **ინტერაქტიული სწავლების მეთოდოლოგია ერთ-ერთი საუკეთესო გზაა საკლასო ოთახის რთული სამუშაო გარემოს გამარტივებისათვის.** სტატიაში ვისაუბრებთ გაკვეთილზე სემინარული მუშაობის მეთოდოლოგიის მნიშვნელობაზე და საგანთაშორის, პრობლემაზე ორიენტირებულ, თემატურ, სისტემურ, ორიენტაციულ **სემინარებზე.**

ნინო რევიშვილი

8 **საკითხავი სასწავლო წლის დასასრულისათვის**

გადავწყვიტეთ, რომ წლის ბოლოსათვის თქვენთვის შემოგვეთავაზებინა რამდენიმე სახალისო, მაგრამ ამასთანავე სასარგებლო სტრატეგია, რომლებსაც მასწავლებლები, როგორც წესი, სასწავლო წლის ან სემესტრის ბოლოს იყენებენ. აღნიშნული აქტივობების მიზანია, რომ წლის ბოლოს შეაჯამოს, თუ რამდენად ღირებული ცოდნა მიიღეს მოსწავლეებმა და, ამასთანავე, მოსწავლეებიც და მასწავლებლებიც დადებითი განწყობით დაემშვიდობონ სკოლას მომავალი სემესტრის დაწყებამდე.

შინაარსი

გლობალური განათლება

ეკატერინე ყიფიანი

47 „პესტალოცის“ საზაფხულო სკოლა ბად- ვილდბადში

„პესტალოცის“ პროგრამის ორგანიზატორებმა შეიმუშავეს ე.წ. მასწავლებლის მანიფესტი, სადაც ვკითხულობთ, რომ ღირებულებები ჩვენი აზროვნების ნაწილია. ჩვენი ღირებულებები განსაზღვრავს ჩვენს მომავალს. ღირებულებების, შეხედულებების, უნარებისა და ცოდნის ერთობლიობა, რეალურ სიტუაციებში განხორციელებულ მოქმედებებთან ერთად, შესაძლებელს ხდის დემოკრატიული ურთიერთობების ჩამოყალიბებას სასწავლო გარემოში.

მოსაზრება

მაია ინასარიძე

55 გაკვეთილზე დაკვირვება

დღეს, როდესაც საუბარია მასწავლებლის საქმიანობის შეფასების ახალ სისტემაზე, განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ამ შეფასების მთავარი ობიექტი – გაკვეთილი. ყველაზე კარგად ადასტურებს მასწავლებლის კომპეტენციას ის, თუ რას აკეთებს იგი ყოველდღიურად მოსწავლეებთან შეხვედრისას. შედეგსა და მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება გაკვეთილის მსვლელობაზე დაკვირვებისას ითხოვს ყურადღების გამახვილებას ახალ ასპექტებზე.

რესურსი

მარინე ჯაფარიძე

20 მასწავლებლობა – დეპრესიის მაღალი რისკის მქონე პროფესია

იმ პროფესიათა ჩამონათვალში, რომლებიც დეპრესიის მაღალი რისკის მატარებელია, მასწავლებელს „საპატიო“ პოზიცია უკავია. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ჩვენი პროფესიის წარმომადგენლებს პირდაპირი და უშუალო ურთიერთობა უწევთ ჩამოყალიბების პროცესში მყოფ ათასობით ადამიანთან, რაც დიდ ნერვულ დაძაბულობას იწვევს.

მაია ფირჩხაძე

24 წასაკითხი ტექსტების ტიპები

თითოეულ მასწავლებელს სურს, რომ მისი გაკვეთილი იყოს მიმზიდველი, საინტერესო და დასამახსოვრებელი, ამიტომ მუდმივად ცდილობს მოძებნოს ყველაზე ეფექტური, მარტივი და ადვილად გამოსაყენებელი მეთოდები და სტრატეგიები, რომლებიც მიზნების მიღწევაში დაეხმარება.

ვიოლეტა კვირიკაშვილი

32 წერითი მეტყველების განვითარების გზები დაწყებით კლასებში

წინამდებარე წერილში შევეხებით პირველკლასელთა სწავლების ბოლო ეტაპს – ანბანისშემდგომ პერიოდს, რომელშიც უნდა გამოვლინდეს მთელი წლის მუშაობის შედეგი.

თეო ჭყოიძე

39 თამაში, სწავლა და განვითარება

განათლებისა და ფსიქოლოგიის სფეროს მკვლევარები აღნიშნავენ, რომ თამაშის წილი ადამიანის წარმატებაში ძალიან დიდია, ვინაიდან ის მჭიდროდ არის დაკავშირებული როგორც კოგნიტურ და მეტაკოგნიტურ, ისე ემოციურ და მოტორულ განვითარებასთან.

ნინო კაპანაძე

42 ერთი კლასის საათის გეგმა

ეროვნული სასწავლო გეგმის ახალ რედაქციაში კლასის დამრიგებლის საქმიანობის ერთ ასპექტს ასეთი ფორმულირება აქვს: „ბ) რეგულარულად ჩაატაროს სადამრიგებლო საათი. სადამრიგებლო საათის მიზანია მოსწავლის კრიტიკული, ანალიტიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარება. სადამრიგებლო საათის ფარგლებში დამრიგებელმა ასაკის შესაბამისად უნდა იმუშაოს შემდეგ მიმართულებებზე...“ ჩამონათვალში, რომელიც ამ ფორმულირებას მოსდევს, გარემოსდაცვითი კულტურის განვითარებაც შედის.